ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის ოქტომბრის 1	№ 22 განყოფილების პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 169. ცხენების გამრავლებისა და დაცვის შესახებ.

170. „ა/კსფსრ სახალხო მეურნეობაში 1931 წელს ქალთა ჩაბმის საკითხის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 28-ის დადგენილების მე-10 მუხლის იმ ნაწილის შეცვლის შესახებ, რაც ზოგიერთი დარგისათვის მამაკაცთა კადრების მომზადებას ეხება.

171. მიწათმოწყობის სამუშაოებისათვის სასყიდლის გაღების წესის შესახებ.

172. პროფესიონალური საუწყებო სახანძრო რაზმების მომუშავეებისათვის, ნამსახური წლების მიხედვით, სამუშაო ხელფასის პერიოდულად მომატების შესახებ.

173. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული „ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათაგან ადგილობრივ ბიუჯეტში შესასვლელ გადასახადთა გაერთიანების შესახებ“ 1930 წ. ივნისის 24-ის დადგენილებისა და „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ“ 1928 წ. ნოემბრის 19-ის დადგგნილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

174. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 47 და 48 მუხლ. შეცვლის შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

175. ა/კსფსრ-ში გლეხის სახლების მუშაობის განმტკიცების ღონისძიებათა შესასებ.

176. წითელი არმიისა და ფლოტის რიგებიდან დათხოვნილთა შორის მასსური მუშაობის გაშლისა და სოფლისათვის საბჭოთა კადრების მომზადების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

177. ა/კსფსრ ტერიტორიაზე წარმოებული სავეტერინარო ბიოპრეპარატებისათვის კონტროლის გასაწევად ამიერკავკასიის სავეტერინარო საკონტროლო ლაბორატორიის მოწყობის შესახებ.

178. ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის მუშაობისა და საორგანიზაციო ფორმების გადაკეთების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

169. ცხენების გამრავლებისა და დაცვის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავენ ცხენთმოშენების საქმის რამოდენადმე შესამჩნევ ამოძრავებას 1931 წელს ა/კსფსრ-ის საბჭოთა მეურნეობებსა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ, მიუხედავად სადირექტივო და საბჭოთა ორგანოების მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა სახალხო მეურნეობაში ცხენის მნიშვნელობის შეუფასებლობასთან გადამწყვეტი ბრძოლის წარმოების თაობაზე, მაინც აქამდე თავს იჩენს ცხენის არა წესიერი მოვლა და მეტის-მეტად გადაჭარბებული ექსპლოატაცია, რაც იწვევს მუშაობაში გამოსაყენებელი ცხენების მდგომარეობის სისტემატიურ გაუარესებას.

ცხენთა შედგენილობის გასაჯანსაღებლად და წესიერად გამოსაყენებლად და აგრეთვე ცხენთმოშენებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 27-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-40 №-ი, მუხ. 241), ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—განახორციელონ ყველა ის პრაქტიკული ღონისძიება, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 27-ის დადგენილებით „ცხენების გამრავლებისა და დაცვის შესახებ“ და რაც მიმართულია გაუპიროვნებისა და ცხენისადმი დანაშაულებრივ-დაუდევარი მოპყრობის სალიკვიდაციოდ.

2. დაევალოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან—ცალკეული რაიონებისა და კოლექტიური მეურნეობების ხაზით დამზადების გეგმის განსაზღვრის დროს ანგარიშში მიიღოს ცხენების რაოდენობა, რაც ამ რაიონებსა და მეურნეობებშია—ისე, რომ რესპუბლიკის შიგნით ცალკეულ რაიონთა შორის და თვით რაიონში ცალკეულ კოლმეურნეობათა შორის პურეულის დამზადების საბოლოო განაწილება უზრუნველჰყოფდეს რაიონებსა და კოლექტიურ მეურნეობებში მინიმალურად საჭირო მარცვლეული ფურაჟის დატოვებას ცხენებისათვის, რათა ამით სავსებით უზრუნველყოფილ იქნეს ცხენების მუშაობის უნარიანობა.

დაევალოს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—იმ მარცვლეული ფურაჟის განაწილების დროს, რაც დარჩება პურეულის დამზადებისა და სათესლე ფონდების დაგროვების შემდეგ, უზრუნველჰყოს სავსებით კოლექტიური მეურნეობანი ცხენების საკვებით.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დააწესონ მარცვლეული ფურაჟის რაიონობითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინიმალური ნორმები, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ცხენები მუშაობისათვის შესაფერ ჯანზე იყვნენ.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ უზენაეს სასამართლოს—მოისმინოს პლენუმის უახლოეს სხდომაზე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მოხსენებანი იმის შესახებ, თუ როგორ ანხორციელებენ ისინი ბრძოლას ცხენებისადმი დაუზოგველი და დაუდევარი მოპყრობის წინააღმდეგ.

4. წინადადადება მიეცეს ა/კსფსრ პროკურორს—გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა ყველა ორგანიზაცის მიერ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ცხენების შენარჩუნებისა და სიფრთხილით გამოყენების სფეროში.

5. რადგანაც ძალიან ხშირია უკანონოდ ჭაპანზიდვის შრომის ბეგარის გამოცხადებისა და ამ ჭაპანზიდვის ბეგარის დაუდევრად ჩატარების შემთხვევა, რაც ცხენების მასსურ გაწყდომას იწვევს:

ა) აეკრძალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ჭაპანზიდვის ბეგარის გამოცხადება ა/კსფსრ სახალხო კომასართა საბჭოს სპეციალური ნებართვის გარეშე თვითეულ ცალკე შემთხვევაში;

ბ) ჭაპანზიდვის ბეგარის ჩატარების დროს სასტიკად დაცულ იქნეს ცხენების გამოყენების წესები, ამ ცხენების დატვირთვის ნორმები, მუშაობის ვადა, საკვებით ცხენების უზრუნველყოფა და თავის დროზე ცხენების გამოყენებისათვის სასყიდლის გადახდა; მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ამისდაშესაბამისად დაადგინონ კანონმდებლობის წესით ჭაპანზიდვის ბეგარაზე გაყვანილი ცხენების გამოყენების წესები.

6. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კონისართა საბჭოებს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დააწესონ საადგილმამულო ორგანოების მეშვეობით სისტემატიური მეთვალყურეობა და მუდმივი კონტროლი ცხენების წესიერი ექსპლოატაციისა და სათანადო მოვლისათვის, საკვებით უზრუნველყოფისათვის და ცხენების გამრავლებისათვის;

ბ) მოისმინონ პერიოდულად მოხსენებანი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ცხენთა შედგენილობა ცალკეულ რაიონებში, სამეურნეო ორგანოებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლექტიურ მეურნეობებში და ამ მოხსენებების მიხედვით განსაზღვრონ საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ორი დეკადის ვადაზე ინსტრუქცია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ინდივიდუალურ სექტორში ცხენების შენახვისა და ექსპლოატაციის შესახებ სავალდებულო აღსრულებისათვის.

8. დაევალოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—სოფლის მეურნეობის მე-2 ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს:

ა) გაითვალისწინონ, რომ მეორე ხუთწლედის ბოლოს აკსფსრ-ში მოზრდილი ცხენების შედგენილობა უნდა იყოს არა ნაკლეე 300.000 სულისა—სათანადო რაოდენობის მოზარდობით და ცხენთა ღირსების მაქსიმალური გაუმჯობესებით;

ბ) გაითვალისწინონ ცხენთმოშენების ტრესტის ა/კ. განყოფილებისა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის ხაზით იმ ღონისძიებათა გაშლა, რაც მაქსიმალურად უზრუნველჰყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და ჩვენი ქვეყნის დაცვის მოთხოვნილებათ სამუშაო წლოვანების ცხენებისადმი და გაუმჯობესებული და ჯიშიანი სანაშენო ულაყებისადმი—ცხენთა შედგენილობის მასსური გაუმჯობესებისათვის.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ცხენთმოშენების ტრესტის ა/კ. განყოფილებას:

ა) დაამთავრონ ა/წ. ოქტომბრის 1-თვის მეცხენეობის ყველა საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიის ორგანიზაცია და გაითვალისწინონ მათთვის განსაზღვრული ცხენთა შედგენილობის სრული უზრუნველყოფა ყოველგვარი ფურაჟით და დაისახონ 1933 წელს ორი მეჯორეობის საბჭოთა მეურნეობისა და ერთი მეაქლემეობის საბჭოთა მეურნეობის მოწყობა;

ბ) განსაზღვრონ ერთი თვის ვადაზე ა/კსფსრ მეცხენეობის საბჭოთა მეურნეობების საწარმოო მიმართულება და სათანადო დადგენილების პროექტი წარუდგინონ დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

10. დაევალოს ცხენთმოშენების ტრესტის ა/კ. განყოფილებას და ზაგოტკონ"-ის ა/კ. კონტორას—სავსებით დააკომპლექტონ ა/წ. სექტემბრის 1-დე მეცხენეობის საბჭოთა მეურნეობები ადგილობრივი საჯდომი ჯიშის სარემონტო დედა-ცხენებით.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპულიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში ცხენთმოშენების გაშლისათვის, რისთვისაც უზრუნველჰყონ ეს ფერმები საკირო მიწის სანახებით მტკიცე საკვები ბაზისის შესაქმნელად.

12. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მისცეს დირექტივები ადგილებს ინდივიდუალურ სექტორში ცხენთმოშენებისათვის ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ და დაუსახოს მათ ამოცანად—სავსებით მოიცვან ცხენთმოშენების საქმე საგრილობელი პუნქტების მეშვეობით საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში.

13. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—იხმარონ ღონისძიებანი ცხენთმოშენების ტრესტისა და საკოლმეურნეო ცენტრისათვის ყველა ჯიშიანი ცხენის ჩაბარე-

ბის დასამთავრებლად და გააუქმონ მათ მიერ გამოცემული ყველა დადგენილება ჯიშიანი ცხენების მთლად ან ნაწილობრივ ჩამორთმევის აკრძალვის შესახებ.

14. წინადადება მიეცეს „ზაგოტკონ"-ის ა/კ. კონტორას—შეავსოს ერთი თვის ვადაზე ცხენებით ყველა ის დაწესებულება, რომელსაც ჩამოერთვა ჯიშიანი ცხენები.

15. დაევალოს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე ყველა სასოფლო-სამეურნეო ტრესტს და შენაერთს—მოაწყოს თავის საბჭოთა მეურნეობებში ცხენებისა და ჯორების მოშენების საქმე საწევი ძალისადმი საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

16. მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ცხენდამზადებათა და ცხენთ-მომარაგების დაგეგმვისა და მოწესრიგებისათვის საუწყებათაშორისო მუდმივი საბჭო შემდეგი შედგენილობით: წარმომადგენელნი ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა (საბჭოს თავმჯდომარე), ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კოვისარიატისა (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), კავკასიის წითელდროშიანი არმიის შტაბისა, ცხენთმოშენების ტრესტის ა/კ. განყოფილებისა, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა, სახელმწიფო პოლიტსამმართველოსი, „გოსკონებრაკერაკ"-ის, „ზაგოტკონ"-ის ა/კ. კონტორისა და ამიერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევო ზოოტეხნიკური ინსტიტუტისა.

საუწყებათაშორისო მუდმივმა საბჭომ თავისი მუშაობა უნდა აწარმოოს სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ საუწყებათაშორისო საბჭოს შესახებ შემუშავებული დებულების თანახმად.

17. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—მოაწყოს სისტემატიური კონტროლი ყველა ორგანიზაციის მიერ ამა დადგენილების შესრულებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუხაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. ივლისის 11.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 162 №-ში 1932 წ. ივლისის 14-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

170. „ა/კსფსრ სახალხო მეურნეობაში 1931 წელს ქალთა ჩაბმის საკითხის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 28-ის დადგენილების მე-10 მუხლის იმ ნაწილის შეცვლის შესახებ, რაც ზოგიერთი დარგისთვის მამაკაცთა კადრების მომზადებას ეხება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „ა/კსფსრ სახალხო მეურნეობაში 1931 წელს ქალთა ჩაბმის საკითხის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 28-ის დადგენილების მე-10 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს იმ პროფესიებისათვის მუშა-ძალის მომზადების ხაზით, რაც უპირატესად შევსებულ უნდა იქნეს ქალებით, დააწესოს, რომ სავალდებულოა ამ პროფესიებისათვის მუშა-ძალის მომზადებაში ჩაბმულ იქნენ უპირატესად ქალები“.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—შეიტანოს თავის დადგენილებებში 1-ლი მუხლიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მოვალ. აღმსრ. **ე. კვანტალიანი.**

1932 წ. აგ ისტოს 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

171. მიწათმოწყობის სამუშაოებისათვის სასყიდლის გაღების წესის შესახებ.

„მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის საერთო საფუძვლების მე-20 მუხლის შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 13-ის დადგენილების განსავითარებლად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-60 №-ი, მუხ. 386)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ყველა სამიწათმოწყობო სამუშაო, რაც სწარმოებს ახლად წარმოქმნილი კოლექტიური მეურნეობისათვის, და საკოლმეურნეო ფართობების გადიდება, აგრეთვე ინდივიდუალური სექტორის—ღარიბი და მცირეძალოვანი საშუალო ნეურნეობების—მოწყობა, რაც გამოწვეულია კოლექტიური მეურნეობების მოწყობით, სწარმოებს სახელმწიფო ხარჯზე.

2. სამიწათმოწყობო სამუშაოები კოლექტიური მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის წინად მიჩენილ მიწებზე (შინასამეურნეო მოწყობა თესლთბრუნვის განსაზღვრით, საგზაო გამოკვლევა და სხვა მისთ.) და აგრეთვე სხვა მიწათმოსარგებლეთა ტერიტორიაზე სწარმოებს სათანადო დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირების ხარჯზე.

შენიშვნა 1. მიწათმიჩენა და სამიწათმოწყობო სამუშაოები საბჭოთა მეურნეობების სისტემებისა და სხვა სამეურნეო (სახელმწიფო) ორგანიზაციებისათვის სწარმოებს ამ უკანასკნელთა ხარჯით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ მიღებული ნიხრის მიხედვით.

შენიშვნა 2. სამიწათმოწყობო სამუშაოები კოლექტიური მეურნეობების შინასამეურნეო მოწყობისათვის იმ რაიონებში, სადაც სათანადო რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულია თესლთბრუნვის შემოღება, სწარმოებს საავალდებულო წესით კოლექტიური მეურნეობების ხარჯზე.

3. მეურნეობრივად განუმტკიცებელ ძველ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთა შედგენილობაშიაც უპირატესად ღარიბი და მცირეძალოვანი საშუალო მეურნეობები არიან, ეძლევათ, სამიწათმოწყობო ხარჯების დასაფარავად, საბანკო გრძელვადიანი სესხი; ამ სესხის გაცემის წესი და რაოდენობა განისაზღვრება ამა დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

4. კოლექტიური მეურნეობანი სხვა მიწათმოსარგებლენი სამიწათმოწყობო სამუშაოების ჩატარების დროს მიუჩენენ მიწათმომწყობთ და სამიწათმოწყობო პარტიებს მინდვრად სამიწათმოწყობო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ჭაბანზიდვის ტრანსპორტს, მუდმივ არაკვალიფიციურ მუშა-ძალას, მუშაობაში სახმარებელ მასალას (ბოძებს, ხარდნებს საყრდენი გეოდეზიური ქსელის მოსაწყობად) და აგრეთვე საცხოვრებლად და სამეცადინოდ ვარგისს სადგომებს.

5. სამიწათმოწყობო სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული სახსარი გატარებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ხარჯთაღრიცხვებში, რისთვისაც სახელმწიფო ბანკის სათანადო დაწესებულებაში გაიხსნება კრედიტი, რომლის თანხებიც გადაირიცხება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სპეციალურ მიმდინარე ანგარიშზე მიწათმოწყობისათვის; ამავე ანგარიშზე ჩაირიცხება კოლექტიური მეურნეობებისაგან სამიწათმოწყობო სამუშაოებისათვის შემოსული სასყიდელი.

კოლექტიურ მეურნეობებს და სხვა მიწათმოსარგებლეებს სასყიდელს ახდევინებენ სახელმწიფო ბანკის სარაიონო განყოფილებანი სათანადო სარაიონო

საკოლმეურნეო კავშირისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—სახელმწიფო ბანკის სამხარეო კონტორასთან, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრთან და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად—შეიმუშაოს, ამა დადგენილების და სსრკ-ის ფანანსთა სახალხო კომისარიატისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და საკოლმეურნეო ცენტრის ინსტრუქციის შესაბამისად, კოლექტიურ მეურნეობათა დაფინანსების წესი და განსაზღვროს ამა დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად გრძელვადიანი სესხის რაოდენობა რესპუბლიკებისათვის 1933 წელს და შემდგომ წლებში.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მოვალ. აღმსრ. **ე. კვანტალიანი.**

1932 წ. აგვისტოს 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

172. პროფესიონალური საუწყებო სახანძრო რაზმების მომუშავეებისათვის, ნამსახური წლების მიხედვით, სამუშაო ხელფასის პერიოდულად მომატების შესახებ.

საუწყებო პროფესიონალური სახანძრო დაცვის რაზმების პირადი შედგენილობის დენადობის აღმოფხვრისა და მისი საბრძოლო უნარიანობის ამაღლების მიზნით, აგრეთვე იმის გამო, რომ ხანძრისგან სამრეწველო საწარმოთა დაცვა წარმოადგენს თვალსაჩინო სიძნელეს,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს 1932 წ. ივლისის 1-დან ა/კსფსრ საუწყებო პროფესიონალური სახანძრო დაცვის სამწყობრო შედგენილობისა და უმცროსი და საშუალო საკომანდო შედგენილობის მომუშავეებისათვის სამუშაო ხელფასის სამი პერიოდული მომატება ნამსახური წლების მიხედვით: საუწყებო პროფესიონალურ სახანძრო რაზმში სამი წლის შეუწყვეტელი სამსახურისათვის—სათანამდებო ძირითადი ჯამაგირის 15%-ი, ექვსი წლის სამსახურისათვის—20%-ი და ცხრა წლის სამსახურისათვის—25%-ი.

შენიშვნა. აღნიშნული მომატება არა ვრცელდება იმ პირებზე, ვინც სამუშაო ხელფასს პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფით იღებს, გამხედროებული სახანძრო დაცვის თანამშრომლებზე და მოხალისე სახანძრო გუნდებზე.

2. ნამსახური წლების მიხედვით სამუშაო ხელფასის მონამატის მიღების უფლება აქვთ აგრეთვე იმ პირთაც, რომელნიც არიან პროფესიონალური საუწყებო სახანძრო დაცვის სამსახურში 1932 წლის ივლისის 1-თვის და შეეფერებიან ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირობებს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან და იმ სახალხო კომისარიატებთან ერთად, რომელთა გამგებლობაშიაც საუწყებო პროფესიონალური სახანძრო ორგანიზაციებია, გამოსცეს, ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. **აღმ. ე. კვანტალიანი.**

1932 წ. აგვისტოს 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

173. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული „ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთნებულ შენობათაგან ადგილობრივ ბიუჯეტში შესასვლელ გადასახადთა გაერთიანების შესახებ“ 1930 წ. ივნისის 24-ის დადგენილებისა და „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ“ 1928 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შეიცვალოს მე-3 მუხლი და შეივსოს მე-4[1] მუხლი შენიშვნებითურთ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 24-ის დადგენილებისა „ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათაგან ადგილობრივ ბიუჯეტში შე-

სასვლელ გადასახადთა გაერთიანების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 140) და ეს მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 3. საიჯარო ქირას ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობებზე, გარდა მე-4[1] მუხლში აღნიშნული შენობებისა, დააწესებენ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები (საქალაქო საბჭოები) საამორტიზაციო ანარიცხის და დახარჯული კაპიტალის პროცენტის შედგენილობით“.

„მუხ. 4[1]. საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობების სარგებლობაში გადაცემული შენობების საიჯარო ქირა გამოიანგარიშება იმ განსხვავების სახით, რაც იქნება სახლთმეურნეობების საერთო შემოსავლისა და არსებული წესისამებრ ნორმალიზებულ ბიუჯეტებს შორის.

შენიშვნა 1. ის საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა, რომლის შემოსავალიც ნაკლებია ნორმალიზებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯზე, ან ამ ხარჯის თანაბარი, განთავისუფლდება საიჯარო ქირისაგან.

შენიშვნა 2. საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათაგან მიღებული საიჯარო ქირა შედის საქალაქო საბჭოების განკარგულებაში მყოფ მცირეძალოვან საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა რეგულირების ფონდებში. ფონდების განაწილების გეგმებს იმუშავებენ საბინაო კავშირები და დასამტკიცებლად ურდგენენ საქალაქო საბჭოებს“.

2. შეიცვალოს მე-7 მუხლის „ბ“ პუნქტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 19-ს დადგენილებისა „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-ი, მუხ. 252) და ეს პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მე-7 მუხლის „ბ“ პუნქტი. სათანადო ადგილობრივი საბჭოების მიერ გაქირავებული საცხოვრებელი სახლების საიჯარო ქირა, იმ სახლების ქირის გამოკლებით, რომლებიც საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა სარგებლობაშია“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრ. კომიტეტის მდივნის მოვ. აღმსრ. **ე. კვანტალიანი.**

1932 წ. აგვისტოს 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

174. ადგილობრივი ფინანსების დებულების 47 და 48 მუხლების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 47 და 48 მუხლები შეიცვალოს და ეს მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 47. წინა მუხლში (46) აღნიშნული სამერქანო გამოსაღები უნდა აღემატებოდეს სამს პროცენტს განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა და საწარმოთათვის, რომელნიც მერქანს ამზადებენ არა როგორც ძირითადი დამზადებელნი. კერძო პირებისათვის ეს გამოსაღები განისაღვრება მერქანის ღირებულების (სამორე სასყიდლის) ხუთი პროენტის რაოდენობით“.

„მუხ. 48. ის დაწესებულებანი, საწარმონი და პირნი, რომელთათვისაც დაწესებულია სამერქანო გამოსაღები, უხდიან ამ გამოსაღებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს თავიანთ ხვედრ სამერქანო სასყიდელთან ერთად ამ მიზნისათვის დადგენილ საფუძველსა და ვადაზე“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრ. კომიტ. მდივნის მოვ. აღმს. **ე. კვანტალიანი.**

1932 წ. აგვისტოს 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

175. ა/კსფსრ გლეხის სახლების მუშაობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

1. მოისმინა-რა ბაქოს, ტფილისისა და ერივანის გლეხის ცენტრალური სახლების გამგეების მოხსენებანი და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების თანამოხსენება—გლეხის სახლების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თუმცა გლეხის ცენტრალური სახლების ფართობი რამოდენადმე მატულობს, იმართება მუდმივი სასოფლო-სამეურნეო გამოფენები და უკეთესდება ამ სახლების მუშაობა კოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასსებისათვის და საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშებისათვის საყოფაცხოვრებო, პოლიტიკური და კულტურული მომსახურეობის გაწევის ხაზით, მაინც გლეხის სახლებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაჰქმნეს თავიანთი მუშაობა „გლეხის სახლების მუშაობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წ. ნოემბრის 23-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 68 №-ი, მუხ. 454) და ვერ გახდნენ სოფლად აგროსაწარმოო პროპაგანდისა და მასსური პოლიტიკური მუშაობის ბაზისად.

ზოგიერთ ადგილას, კერძოდ ბაქოსა და ერევანში, ჯერ კიდევ თავს იჩენს გლეხის სახლების ქსელის შემცირება და ამ სახლების სადგომების სხვა მიზნისათვის გამოყენება; საკმარისად არ არის გაფართოებული ბაკები და არ სწარმოებს სათანადო მუშაობა საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლისათვის. არის ხოლმე შემთხვევები (ერივანი), როდესაც გლეხის სახლის ბაკებში სახლდებიან უმეტესად განკულაკებული უცხო ელემენტები, რომელნიც სპეკულაციას ეწევიან.

არა სჩანს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და საკოლმეურნეო ცენტრების, აგრეთვე საქალაქო საბჭოების სახალხო განათლების ორგანოების მუშაობა გლეხის სახლებში. ძალიან სუსტია ცენტრალური სახლების ხელმძღვანელობა გლეხის სარაიონო სახლების მიმართ.

ყველა ეს ნაკლოვანება გლეხის სახლების მუშაობისა იმით აიხსნება, რომ ა/კსფსრ შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები, სახალხო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ სახლებს.

ამ ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისა და გლეხის სახლების მუშაობის გაძლიერების მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს— მოაწყონ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებებთან სექტორები გლეხის სახლებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

2. წინადიდება მიეცეს ა/კსფსრ შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს, სარაინო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს:

ა) კატეგორიულად აკრძალონ გლეხის სახლების დახურვა და ერთი თვის ვადაზე შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი დახურული სახლების აღსადგენად;

ბ) ერთი თვის ვადაზე გადასცენ სხვა ორგანიზაციების გამგებლობაში მყოფი გლეხის სახლები ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს,—1932 წლისთვის გადადებული ყველა სახსარით და ქონებული გაწყობილობით;

გ) ერთი თვის ვადაზე გაანთავისუფლონ გლეხის სახლები მუდმივი მდგმურებისაგან და კატეგორიულად აკრძალონ გლეხის სახლების გამოყენება სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხვა კურსების საერთო საცხოვრებლებისათვის, ნაწილობრივ სასტუმროებად გადაქცევა, მუდმივი და დროებითი ბინების მიჩენა ქალაქის მომუშავეებისათვის და სხვ. მისთ.

3. წინადადება მიეცეს სომხეთის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—იხმაროს ღონისძიება გლეხის სახლის ბაკების უცხო ელემენტებისაგან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

4. რადგანაც აუცილებლად საჭიროა, რომ გლეხის სახლები რაც შეიძლება ჩქარა გადაყვანილ იქნეს სამეურნეო ანგარიშზე, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს, საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დაამტკიცონ ერთი თვის ვადაზე გლეხის სახლების საწარმოო-საფინანსო გეგმები და გაითვალისწინონ ამ გეგმებში, კერძოდ, შემდეგი ხარჯები: რემონტისა და სახლების გაფართოებისათვის, საწოლი საგნების შეძენისათვის, სადეზინფექციო კამერების მშენებლობისათვის, ბიბლიოთეკებისა, გამოფენებისა და სხვა მისთ. მოწყობისათვის;

ბ) ჩააბან გლეხის სახლების შესანახ ხარჯებში საკოლმეურნეო კავშირები, სამეურნეო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რისთვისაც ერთი თვის ვადაზე განსაზღვრონ ამ ხარჯებში თვითეული ორგანიზაციის მონაწილეობის ოდენობა, მათთანვე შეთანხმებით, და დაადგინონ მათი ხვედრი ნაწილის შეტანის ვადა და აგრეთვე კონტროლი მათ მიერ ნაკისრებ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს:

ა) დაავალონ სათანადო ორგანიზაციებს—მოაგვარონ გლეხის სახლების სისტემატიური მომარაგება თეთრეულით და სხვა საგნებით, სამრეწველო და სასურსათო საქონლით, აგრეთვე საშენი მასალით, რაც საჭიროა მათი გაფართოებისათვის;

ბ) დაავალონ საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გაანთავისუფლონ გლეხის სახლება კომუნალური მომსახურეობის სასყიდლისაგან;

გ) მისცენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრებსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს მინიშნებანი იმის თაობაზე, რომ შეუწყნარებელია მათი გულგრილი მოპყრობა გლეხის სახლებისადმი, რომ საჭიროა მოაწყონ გამოფენები და მუზეუმები, გამოჰყონ პასუხისმგებელი მომუშავენი საკონსულტაციო ბიუროებში, ჰმართონ მოხსენებები და საუბრები კოლექტიური მეურნეობების სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისა, საკოლმეურნეო და საბჭ. მეურ. ვაჭრობისა და სხვა მისთ. საკითხების გამო;

დ) საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლასა და გლეხის სახლებთან ბაკების რიცხვის უქონლობასთან დაკავშირებით—დაავალონ საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა გაუმჯობესებულ იქნეს არსებული ბაკების მდგომარეობა და მოწყობილ იქნეს ახალი ბაკები საერთო საცხოვრებლებით, ჩარდახები, საჩაიები, სასადილოები და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები;

ე) დაავალონ ა/კსფსრ შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების კადრების განყოფილებათ—უზრუნველჰყონ გლეხის სახლები სათანადო კადრებით და შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი როგორც ცენტრალური, ისე სარაიონო გლეხის სახლებისათვის მომუშავეთა კადრების მოსამზადებლად.

6. რადგანაც გლეხის სახლების არსებული ქსელი საკმარისი არ არის, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—გაითვალისწინონ მეორე ხუთწლედის გეგმებში ახალი გლეხის სახლების მშენებლობა ისეთი ვარაუდით, რომ ყველა რაიონი უზრუნველყოფილ იქნეს გლეხის სახლებით.

7. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—იქონიოს სისტემატიური მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მოვ. აღმსრ. **ე. კვანტალიანი.**

1932 წ. აგვისტოს 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

176. წითელი არმიისა და ფლოტის რიგებიდან დათხოვნილთა შორის მასსური მუშაობის გაშლისა და სოფლისათვის საბჭოთა კადრების მომზადების ღონისძიებათა შესახებ.

ვინაიდან უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს წინამდგომარე დემობილიზაციას წითელი არმიიდან და ფლოტიდან იმ მიზნისთვის, რათა დემობილიზებულნი წარმატებით მომზადებულ იქნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საორგანიზაციო-სამეურნეო საქმიანობისათვის, რაც მათ ადგილობრივ მოელით, და აგრეთვე რათა ისინი წესიერად იქნენ განაწილებულ და გამოყენებულნი მუშაობაში ადგილებზე დაბრუნებისას,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გაშალონ მასსური კამპანია წითელი არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზებულთა მომზადებისა, აღნუსხვისა, სამუშაოზე წესიერად განაწილებისა და ადგილებზე გამოყენების გარშემო, რისთვი-

საც ამ საქმეში ჩაბმულ უნდა იქნეს ყველა დაინტერესებული რესპუბლიკანური ორგანო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები, საკოლმეურნეო ცენტრები, ტრაქტორცენტრები, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულები, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატები, შრომის სახალხო კომისარიატები, განათლების სახალხო კომისარიატები, ალკკ, პროფესიონალური კავშირები, სამეცნიერო დაწესებულებები, საბჭოთა მშენებლობის სახლები და სხვ.).

2. მოეწყოს რესპუბლიკების ცენტრალურ ქალაქებში და დემობილიზებულთა სამყოფელ რაიონებში, დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად, მოკლევადიანი სპეციალური კურსები ისეთი ვარაუდით, რომ ეს კურსები გაიაროს ყველა დემობილიზებულმა.

სპეციალური კურსების მოწყობის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს იმ სამუშაოს ხასიათი, რაც დემობილიზაციის შემდეგ მათ მოელით, დაინტერესებული ორგანიზაციების მოთხოვნილების შესაბამისად.

სოფლად მიმავალ დემობილიზებულთათვის მოწყობილ იქნეს სპეციალური კურსები, რომლებზედაც ისინი გაივლიან კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისა და საბჭოების საორგანიზაციო-მასსური მუშაობის საკითხებს (პარტიის პოლიტიკა სოფლად, კოლექტიური მეურნეობების მშენებლობა, კოლექტიურ მეურნეობებში შრომის ორგანიზაცია და აღნუსხვა; მოსავლის აღების კამპანიასთან და მოსავლის განაწილებასთან დაკავშირებული საკითხები, საკოლმეურნეო ვაჭრობა, საბჭოთა მშენებლობა, სასოფლო საბჭოების საორგანიზაციო-მასსური მუშაობა და სხვა მისთ.).

3. მოწყობილ იქნეს დემობილიზებულთა აღნუსხვა და განაწილება სამეურნეო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი საბჭოების მოთხოვნილებეთა შესაბამისად; ამასთანავე, აკრძალულია ადმინისტრირება და გადახრები სამუშაოზე დემობილიზებულთა განაწილების დროს.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—აწარმოონ რაიონებში მისულ დემობილიზებულთა ზედმიწევნითი აღნუსხვა და იხმარონ ღონისძიებანი, რათა ისინი მაქსიმალურად გამოყენებულ იქნენ საბჭოთა სამუშაოზე და სამეურნეო სამუშაოზე და დემობილიზებულებით იქნეს შევსებული თავისუფალი თანამდებობანი აპარატში და სამეურნეო ორგანიზაციებში.

დემობილიზებულთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და წინამდგომარე მუშაობისათვის მოსამზადებლად მოეწყოს მათთვის სარაიონო ცენტრებში კურსები, თათბირები, სემინარები და სხვა მისთ.

5. წინადადება მიეცეს „ზარია ვოსტოკა"-ს და აგრეთვე რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბეჭდვითს ორგანოებს—გაშალონ ფართო კამპანია წინამდგომარე დემობილიზაციის გარშემო და სისტემატიურად გააშუქონ ცენტრალური, ადგილობრივი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ხმარებული ღონისძიებანი დემობილიზებული წითელარმიელების მომზადებისა, აღნუსხვისა და სამუშაოზე განაწილების ხაზით.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების კადრების განყოფილებებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საორგანიზაციო განყოფილებათა საინფორმაციო სექტორებს—აწარმოონ დემობილიზებულ წითელარმიელთა ზედმიწევნითი აღნუსხვა და იქონიონ მეთვალყურეობა ადგილებზე—მათი სათანადოდ გამოყენებისათვის; დაამყარონ მათთან მუდმივი კავშირი სისტემატიური ინსტრუქტაჟის მიზნით და გამოიყენონ ისინი ინფორმატორებად ადგილებიდან.

7. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური პროკურატურის ორგანოებს—მოაწყონ სპეციალური ზედამხედველობა—საბჭოთა ორგანოებისა და სამეურნეო ორგანოების მიერ, აგრეთვე კერძო მოქალაქეების მიერ დემობილიზებული წითელარმიელების პრივილეგიების შესახები კანონმდებლობების შესრულებისათვის.

8. ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი განხორციელებულ უნდა იქნეს საზოგადოებრივი სამუშაოს წესით—საჭირო კვალიფიციური ძალების მობილიზაციით და სამეცნიერო მომუშავეებისა, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ამ საქმეში ჩაბმით.

9. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყოს სპეციალური კომისიები, რომლებშიაც შევლენ წარმომადგენელნი: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა (თავმჯდომარე), უწყებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი კწდა ნაწილების პოლიტ. განყ-ბისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, შრომის სახალხო კომისარიატისა, განათლების სახალხო კომისარიატისა, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, ბეჭდვითი სიტყვისა, პროფორგანიზაციებისა, ალკკ-სა და სხვ.

10. მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის ეკისრება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კადრების განყოფილებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მოვალ. აღმსრ. **ე. კვანტალიანი.**

1932 წ. აგვისტოს 27.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

177. ა/კსფსრ ტერიტორიაზე წარმოებული სავეტერინარო ბიოპრეპარატებისათვის კონტროლის გასაწევად ამიერკავკასიის სავეტერინარო საკონტროლო ლაბორატორიის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სავეტერინარო ბიოფაბრიკებისა და სხვა საწარმოო სავეტერინარო-ბაქტერიოლოგიური დაწესებულებების მიერ გამოშვებული ყოველგვარი სავეტერინარო ბიოპრეპარატებისათვის კონტროლის გასაწევად და ბიოპრეპარატების წარმოების პროცესების შემოწმების საკვლევო მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, აგრეთვე ბიოპრეპარატების გამოყენების ეფექტიობის შესასწავლად—საქართველოს სსრ ექსპერიმენტალური ვეტერინარიის სახელმწიფო ინსტიტუტთან მოწყობილ იქნეს ამიერკავკასიის საკონტროლო ლაბორატორია.

2. ამიერკავკასიის საკონტროლო ლაბორატორიის მუშაობა სწარმოებს სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული ბიოპრეპარატებისათვის კონტროლის გამწევი სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობით.

ამიერკავკასიის საკონტროლო ლაბორატორიას უშუალო ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობას უწევს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სამმართველო.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაავალონ ყველა სისტემის მეცხოველეობის შენაერთებს—ხელმძღვანელთა და სავეტერინარო პერსონალის პირადი პასუხისმგებლობით—არ გამოიყენონ ის ბიოპრეპარატები, რაც შემოწმებული არ არის საკონტროლო ლაბორატორიების მიერ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. სექტემბრის 15.
№ 493.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ხარია ვოსტოკა"-ს 225 №-ში 1932 წ. სექტემბრის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

178. ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის მუშაობისა და საორგანიზაციო ფორმების გადაკეთების შესახებ.

კოოპერირებული მასსების საწარმოო ინიციატივის შემდგომი გაშლისათვის, სარეწაო კოოპერაციის მაქსიმალური გაფართოებისათვის ფართო მოხმარების საგნების წარმოების ხაზით, განსაკუთრებულად ადგილობრივი არადეფიციტიანი მასალისაგან, ამ სისტემის ფინანსიური ძალოვნების განმტკიცებისათვის, საკოლმეურნეო ბაზრებზე ფართო მოხმარების საგნების ვაჭრობის გაშლისათვის, სარეწაო კოოპერაციის სისტემის ყველა რგოლეულში მტკიცე სამეურნეო ანგარიშის შთანერგვისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო—„სარეწაო კოოპერაციის მუშაობის და საორგანიზაციო ფორმების გადაკეთების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 23-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 57 №-ი, მუხ. 340)—ადგენს:

დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემას—განახორციელონ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 23-ის დადგენილება და დაამთავრონ 1932 წ. ოქტომბრის 1-თვის სისტემის ორგანიზაცია და მუშაობის გადაკეთება შემდეგ საფუძველზე:

1. ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემიის საორგანიზაციო აგებულობის შესახებ:

ა) სარეწაო კოოპერაციის საპირველადო ოპერატიულ რგოლეულად ა/კსფსრ-ში ჩაითვალოს არტელი და გამსაღებელ-მმომარაგებელი ან საწარმოო ამხანაგობა;

ბ) ლიკვიდირებულ იქნენ ცალობითი ვაჭრობის შენაერთი და სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირები—„აზსენეტბირლიგი“, „სარეწაოკავშირი“ და „აიტნარკოოპი“; მათან არსებული სამეურნეო ანგარიშიანი სადარგო შენაერთები რეორგანიზებულ იქნენ რესპუბლიკანურ სპეციალიზირებულ კავშირებად რეწაობის ნიშნების მიხედვით, როგორც სარეწაო კოოპერაციის სისტემის მეორე ოპერატიული რგოლეული.

ცალკეულ რესპუბლიკებში მოწყობილ იქნეს შემდეგი სპეციალიზირებული კავშირები:

აზერბაიჯანის სსრ-ში:

1) ნავთისა;
2) საშენი მასალისა (სამშენებლო და სამთა-მადნო);
3) ლითონდამუშავებისა;

4) ქიმიკურისა;
5) ტყავ-ბეწვეულისა;
6) საფეიქრო-სატრიკოტაჟო;
7) საგემოო-საჭამადო;
8) სატრანსპორტო;
9) სახალიჩე;
10) სხვადასხვა რეწვაობისა;

საქართველოს სსრ-ში:

1) საშენი მასალისა (სამშენებლო, სამთა-მადნო და სათბობი მასალისა);
2) ლითონდამუშავებისა;
3) ტყავ-ბეწვეულისა;
4) ქიმიკურისა;
5) საფეიქრო-სატრიკოტაჟო და სახალიჩე;
6) საგემოო-საჭამადო:
7) სატრანსპორტო;
8) სხვადასხვა რეწვაობისა;

სომხეთის სსრ-ში:

სარეწაო კოოპერაციის მრავალრეწვაობიანი კავშირი და გამოიყოს მის საერთო ხელმძღვანელობით მომქმედი დამოუკიდებელი კავშირი სახალიჩე რეწვაობისა.

სპეციალიზირებულ რესპუბლიკანურ კავშირებს დაეკისროს: საორგანიზაციო და ოპერატიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობის გაწევა ქვედა რგოლეულებისათვის (არტელი, ამხანაგობა) და აგრეთვე მათი წარმომადგენლობა რესპუბლიკანურ სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციების წინაშე;

შენიშვნა 1. უფლება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სარეწაო კოოპერაციას, უკეთუ შემდეგში გამორკვეულ იქნება ეკონომიური ბაზისი, აწარმოოს, რესპუბლიკანურ ორგანოებთან შეთანხმებით და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, სარეწაოების შემდგომი სპეციალიზაცია;

შენიშვნა 2. სამეურნეო კოოპერატიული ურთიერთობა სპეციალიზირებულ კავშირებსა, არტელებსა და ამხანაგობებს შორის მყარდება ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებების თანახმად;

შენიშვნა 3. ცალობითი ვაჭრობის ლიკვიდირებული შენაერთის ნაცვლად მოეწყოს რესპუბლიკანურ საბჭოებთან და სომხეთის კავშირთან ახალ საფუძვლებზე სამეურნეო ანგარიშიანი სარეწაო ვაჭრობანი, რომელთა ფუნქციებსაც შეადგენს: ხელმარტო შინამრეწველთა და არტელთა ნაკეთობის შესყიდვა და რეალიზაცია თავიანთი მაღაზიების მეშვეობით; გეგმის-გარეშე ნედლეულის და მასალის დამზადება და არტელებისა და მარტოხელა შინამრეწველების მომარაგება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აჭარისტანისა, აფხაზეთისა, ნახიჩევანისა, სამხრეთ-ოსეთისა და მთის ყარაბაღის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების სარეწაო კოოპერაციის კავშირები არიან მრავალრეწაობიანი ხასიათის კავშირები;

დ) სპეციალიზირებული კავშირებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების მრავალრეწაობნანი კავშირებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოეწყოს აზერბაიჯანსა და საქართველოში სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური საბჭოები—აზერბაიჯანის სარეწაო კოოპერაციის საბჭო და საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭო, რომელთა ამოცანებსაც შეადგენს: საორგანიზაციო მუშაობა, აღნუსხვა, საპერსპექტივო და სადირექტივო დაგეგმვა და სარეწაო კოოპერაციის წარმომადგენლობა რესპუბლიკანურ ორგანიზაციებში. სომხეთში მოეწყოს სომხეთის სარეწაო კოოპერაციის კავშირი ოპერატიული ფუნქციებით;

ე) ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს, როგორც სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანიზაციას ა/კსფსრ-ში, დაეკისროს: საორგანიზაციო მუშაობა, აღნუსხვა, სადირექტივო და საპერსპექტივო დაგეგმვა და ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის წარმომადგენლობა მთავრობის საკავშირო და ცენტრალური ორგანოების წინაშე—დაკრედიტებისა, მომარაგების ფონდებისა, სარეწაო კოოპერაციისათვის კანონით მინიჭებული უფლებების დაცვისა და სხვა მისთ. ხაზით;

განისაზღვროს, რომ აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოები და ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭო არავითარ ოპერატიულ ფუნქციებს არ ეწევიან;

აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სარეწაო კოოპერაციის საბჭოები და სომხეთის სსრ მრავალრეწაობიანი კავშირი წევრნი არიან ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოსი, ხოლო ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭო—სრულიად საკავშირაო სარეწაო კოოპერაციის საბჭოსი;

ვ) სატყეო არტელებისა და ამხანაგობების მაქსიმალური განვითარებისა და ხელმძღვანელობის მიზნით გამოყოფილ იქნეს ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის საერთო სისტემიდან სატყეო რეწაობა (ტყის დამზადება, ტყის დამუშავება, ხის დამუშავება, სატყეო ქიმია) და შეიქნას რესპუბლიკანური სპეციალიზირებული სატყეო კავშირები: საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სატყეო სარეწაო კავშირი და აზერბაიჯანის სსრ-ში—აზერბაიჯანის სატყეო სარეწაო კავშირი, რომელთაც დაეკისროს ქვედა რგოლეულების საორგანიზაციო და ოპერატიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობა და აგრეთვე მათივე წარმომადგენლობა საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე;

შენიშვნა. სანედლეულო ბაზისის არასაკმარისობის გამო სომხეთის სატყეო სარეწაო კოოპერაცია დატოვებულ იქნეს მრავალრეწაობიანი რესპუბლიკანური კავშირის სისტემაში;

ზ) რესპუბლიკანური სატყეო სპეციალიზირებული კავშირების ხელმძღვანელობა დაეკისროს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს, რისთვისაც ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს აპარატში გამოყოფილ იქნეს განსაკუთრებული სექტორი პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრის ხელმძღვანელობით.

II. ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის ოპერატიულ-ფინანსიური მუშაობის შესახებ.

ა) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში, სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—გასცენ დაუყოვნებლივ განკარგულება თავიანთ ქვემდებარე ყველა დაწესებულებისა და საწარმოს მიმართ (ფაბრიკა, ქარხანა და სხვ.)—დასდვან სპეციალური ხელშეკრულებები სარეწაო კოოპერაციასთან (არტელი, კავშირი) მასზე გადასამუშავებლად ვარგისი ნარჩენების (ლითონი, საფეიქრო და სახეტყეო ნარჩენი, ნაკუწები, ბრაკი, საჭამადო მრეწველობის ნარჩენი და სხვ.) მიმაგრების შესახებ;

ბ) ზემდგომი რგოლებულების აპარატის შესანახად საჭირო ანარიცხების გადადების წესი და რაოდენობა და რწმუნებულთა საერთო კრებებისა და პლენუმების მიერ 1932 წლის განმავლობაში დამტკიცებული საერთო-კოოპერატიული ხარჯები დატოვებულ იქნეს უცვლელად;

ამასთანავე, წინადადება მიეცეს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს—შეიმუშაოს ანარიცხების საკითხი—ამ ანარიცხების შემდგომი შემცირების თვალსაზრისით—ისე, რომ 1933 წ. იანვრის 1-დან ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს მიერ დამტკიცებული ახალი წესი ანარიცხების გადადებისა შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ;

გ) საწარმოო არტელების ნედლეულით და მასალით მომარაგების წესის შეცვლასთან დაკავშირებით (ცენტრალიზებული მომარაგება, შემკვეთის მიერ მიტანილი ნედლეული, თვითდამზადება), აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის წესის შეცვლის გამო—წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემას—გადასინჯოს, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, ყველა მომქმედი ხელშეკრულება;

დ) დაევალოს რესპუბლიკანურ კავშირებს—გააძლიერონ მუშაობა არაკოოპერირებული შინამოეწველებისათვის ყოველმხრივი საწარმოო და საგამსაღებლო მომსახურეობის გასაწევად—მათთვის წესიერად ნედლეულისა და მასალის მიწოდებით და მათი პროდუქციის გასაღებით ხელშეკრულებების საფუძველზე;

ე) წინადადება მიეცეს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს—ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის 1933 წლის საკონტროლო ციფრების შემუშავების დროს ფართო ბოხმარების საგნების ხვედრითი წონა გაითვალისწინოს არა ნაკლებ სარეწაო კოოპერაციის მთელი პროდუქციის 70 პროცენტისა;

ვ) ვინაიდან ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის ერთ-ერთი უაღრესი მნიშვნელობის ამოცანა საექსპორტო ნაკეთობის წარმოებაა, განსაკუთრებით ხალიჩებისა, წინადადება მიეცეს სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს და სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში, აგრეთვე სათანადო სახალხო კომისარიატებს—საექსპორტო სარეწაოების განვითარების სტიმულირების მიზნით—სავსებით უზრუნველჰყონ საწარმოო არტელე-

ბისათვის თავის დროზე ნედლეულისა და მასალის მიწოდება და აგრეთვე მოაწესრიგონ საექსპორტო ნაკეთობის ფასებისა და მეარტელეების სამუშაო ხელფასის საკითხები;

ზ) წინადადება მიეცეს სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს და ადგილობრივ ორგანიზაციებს—იხმარონ ღონისძიებანი კერძო მოვაჭრეთა, სპეკულანტთა და საშინამრეწველო წარმოების გარდამყიდველთა აღმოფხვრისათვის; თანაც აწარმოონ მკვეთრი ბრძოლა სპეკულატურ მოვლენებთან სარეწაო კოოპერაციის ცალკეულ რგოლეულებში;

თ) წინადადება მიეცეს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს—წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ორი დეკადის ვადაზე პროექტი დადგენილებისა—ა/კსფსრ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ;

ი) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეუთანხმონ ერთი თვის ვადაზე თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას;

კ) წინადადება მიეცეს ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს—შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) ერთად—შეიმუშაოს საკითხი მატყლისა, ტყავისა და აბრეშუმის პარკის დასამზადებლად სარეწაო კოოპერაციისათვის სათანადო რაიონების გამოყოფის შესაძლებლობის შესახებ; თანაც გაითვალისწინოს დამზადების წესი და პირობები და თავისი წინადადებანი შემოიტანოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. სექტემბრის 23.
№ 489.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 226 №-ში 1932 წ. სექტემბრის 28-ს.

მთავლიტი—2360. სახკომსაბჭოს სტამბა. დაკვეთა—1478. ტირაჟი—1400.